



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

| | | | |
|---------------|---|---------------|-----------------------|
| მატჩი | სტეფანწმინდის „ყაზბეგი“ - რუსთავის „ხარები“ | | |
| გუნდი | რუსთავის „ხარები“ | შეჯიბრი | დიდი 10 |
| მატჩის თარიღი | 09/04/2022 | მატჩის ადგილი | რუსთავი, ხარები არენა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|--------------------|--|---|---|
| მოთამაშე/პიროვნება | 1. მოთამაშე 2. მწვრთნელი | დაზადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | რატი სამყურაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი | | |
| მომჩივანი | მატჩის მსაჯი სულხან ჩიხლაძე კიდის მსაჯი გელა ლემონჯავა | საჩივარი | <input checked="" type="checkbox"/> მიღებულია უარყოფილია |
| დარღვევა | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 5.5 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას; | <input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : | |



| განხილვის დეტალები | | | |
|--|---|-----------------------------|-------------|
| განხილვის თარიღი | 15/04/2022 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე | | |
| დამრღვევის დასწრება | <input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა | სხვა დამსწრეები : კი არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | რუსთავის „ხარები“-ს დირექტორი დავით კაკაბაძე | აღნიშნუთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის სულხან ჩიხლაძეს საითინგი 09/04/2022 კიდის მსაჯის გელა ლემონჯავას საითინგი 09/04/2022 | | |

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის სულხან ჩიხლაძეს საითინგი 09/04/2022
2. მატჩის კიდის მსაჯის გელა ლემონჯავას საითინგი 09/04/2022
3. მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
4. მატჩის მსაჯის სულხან ჩიხლაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
5. მატჩის კიდის მსაჯის გელა ლემონჯავას სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
6. მატჩის კიდის მსაჯის საბა მახარაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
7. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

1. რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი ირაკლი ნატრიაშვილი დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების ფაქტს და განმარტა რომ, ეს იყო გამოწვეული არაკომპეტენტური და მისი აზრით მიკერძოებული მსაჯობით.
2. რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშის რატი სამყურაშვილის განცხადებით, თამაშის დამთავრების შემდეგ მან განმარტების მისაღებად კითხვით მიმართა მატჩის კიდის მსაჯს მისი აზრით სავარაუდო თამაშის წესის დარღვევის შესახებ და მისი მხრიდან არანაირ აგერესიულ და უხეში ტონით შელაპარაკებას ადგილი არ ჰქონია.



ფაქტობრივი მოცემულობა

- 09/04/2022 გაიმართა დიდი 10-ს XVI ტურის მატჩი სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-სა და რუსთავის „ხარები“ შორის.
- 09/04/2022 მატჩის მსაჯმა სულხან ჩიხლაძემ წერილობით(საითინგი) მომართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. ს.ჩიხლაძის საითინგში აღნიშნულია, რომ თამაშის დამთავრებამდე 1(ერთი) წუთით ადრე რუსთავის „ხარები“-ს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მსაჯების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირებას, ხოლო თამაშის დამთავრების შემდეგ სათამაშო მოედანზე შემოვიდა რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი ირაკლი ნატრიაშვილი და აგრესიული ტონით საჯაროდ გააკრიტიკა მატჩის მსაჯების გადაწყვეტილებები, რასაც მოჰყვა მათგან მათი აღშფოთება და მათი მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
- 09/04/2022 მატჩის კიდის მსაჯმა გელა ლემონჯავამ წერილობით(საითინგი) მომართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. გ.ლემონჯავას საითინგში აღნიშნულია, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ მასთან მივიდა რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშე რატი სამყურაშვილი და აგრესიული ტონით მართა მას თამაშის ერთი კონკრეტული მომენტის გამო, რასაც მოჰყვა მათგან მათი აგრესია და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სადისციპლინო კომისიამ განიხილა სხდომაზე წარმოდგენილი ინციდენტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები, მატჩის ოფიციალური პირების, რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელის და მოთამაშის განცხადებები, გაითვალისწინა რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელის ირაკლი ნატრიაშვილი უარყოფითი სადისციპლინო ისტორია, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.5 პუნქტით, სრკ სადისციპლინო რეგულაციის დანართი #6-ს მე-3 პუნქტით და მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

- რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი ირაკლი ნატრიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) კვირით 16/04/2022-დან (დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი დიდი 10-ს მიმდინარე გრაფიკით უცნობია). დისკვალიფიკაციის პერიოდში ი. ნატრიაშვილს ეკრძალება ნებისმიერი აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ყველა დონეზე.
- რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშეს რატი სამყურაშვილს მიეცეს გაფრთხილება და მოთამაშის სადისციპლინო ისტორიაში დაფიქსირდეს შესაბამისი ჩანაწერი.

| | | | |
|--------------------------|-------------------------|--------|------------|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 15/04/2022 |
|--------------------------|-------------------------|--------|------------|

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.